



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

1. ნანა მიქავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ფიქრია მუმლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. მეგი ტალახაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ნინო წერეთელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ლაშა სარალიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	227752269

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გურჯაანის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი კოლაგი
საფოსტო ინდექსი	1500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1240?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kolagi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577678921

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 18 ივნისის MES 5 24 0000685005 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ.
--	---



ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	4-5 ივლისი
--------------------------	------------

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოლაგი, 1 შენობა-ნაგებობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოლაგი, 1 შენობა-ნაგებობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	სასსუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოლაგი, 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიკ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2024 წლის 18 ივნისის MES 5 24 0000685005 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); წევრები: ნანა მიქავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ფიქრია მუმლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); მეგი ტალახაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ნინო წერეთელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); ლაშა სარალიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლაში.

ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს, 2024 წლის, 4-5 ივლისს, ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და მასწავლებლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული დოკუმენტების და მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
--------------	------------------	---------



ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N.1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	გადახედოს სტრატეგიული გეგმის შემუშავების ვადებს (29.03.2024 - 9.09.2024) და ბოლო ვადად განსაზღვროს გონივრული პერიოდი, რაც ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებას სასწავლო წლის დაწყებამდე, რამდენადაც სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება უნდა განხორციელდეს სწავლის დაწყებამდე 1 კვირით ადრე და ის უნდა შეიქმნას სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, ხოლო თავად სამოქმედო გეგმა უნდა გამომდინარეობდეს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმიდან.
ინდიკატორი N.1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავების, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ბოლო ვადის 16.09.2024 რევიზია და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, შექმნას სამოქმედო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებამდე.
ინდიკატორი N.1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	შეინუშავოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ინდიკატორის მოთხოვნები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების	სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (14 მარტი, 2025) უზრუნველყოს სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება.



	დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N.3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს ლიფტის დამონტაჟება და შესაბამისად ინკლუზიური გარემოს შექმნა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის, 29 მარტი).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	--------------------	--



	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N.1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რჩევა: მისიის და ხედვის შემუშავების დროს გაითვალისწინოს, რომ მისია ასახავს ორგანიზაციის ფუნდამენტურ/ძირითად დანიშნულებას და მისი საშუალებით ხდება ორგანიზაციის იდენტობის ფორმირება, ხოლო ხედვა წარმოადგენს შუა რგოლს მისიასა და სტრატეგიულ გეგმას შორის. შესაბამისად, ხედვა უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიული გეგმის შემუშავების ძირითად ორიენტირს, ის არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით). ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.
ინდიკატორი N.1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	მისიის ხედვისა და ღირებულებების გადამუშავების მიზნით შემუშავებულ მასწავლებლების კითხვარში - გადახედოს კითხვების ფორმულირებას და შეიმუშავოს მიზნობრივი კითხვები, რაც დაეხმარება სკოლას შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებაში.
ინდიკატორი N.1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და	რამდენადაც წამოდგენილი მეთოდოლოგია ძალიან ზოგადია, სკოლას მიეცა რჩევა მოახდინოს მეთოდოლოგიის ადაპტირება, განსაზღვროს და დეტალურად გაწეროს თუ როგორ ხდება დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გაანალიზება.



	ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	
ინდიკატორი N.1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა - დეტალურად გაწეროს თუ როგორ ხდება დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და გაანალიზება, რაც დახმარებას გაუწევს მათ ეფექტიან მუშაობაში.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	რამდენადაც სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ზოგადია, ექსპერტთა მიერ გაიცა რჩევა - დოკუმენტით განსაზღვრონ, თუ სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით, რომელი ინსტრუმენტებით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს.
ინდიკატორი N.3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სკოლას მიეცა რჩევა - მოახდინოს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის ადაპტირება სკოლის საჭიროებასთან და განსაზღვროს ცნობადობის ამდლების ღონისძიებების ჩატარების გზები.
ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან	სკოლას მიეცა რჩევა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან ან საკუთარი კადრის, ამ მიმართულებით, გადამზადებასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა საქართველოს კანონის -პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ (მუხლი 33) შესაბამისად დანიშნოს ან განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.



	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N.3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	- რამდენადაც სკოლაში არ ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, სკოლას მიეცა რჩევა - მოახდინოს უსაფრთხოების დოკუმენტის მოდიფიცირება და შექმნას საკუთარი, სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების მოდიფიცირებული დოკუმენტი. - სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს მეთოდოლოგია - სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების შესახებ.
ინდიკატორი N.3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	იმის გათვალისწინებით, რომ 2024 წლის 01 მარტიდან ამოქმედდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონი, სკოლას მიეცა რჩევა - კანონის გათვალისწინებით გადაამუშავოს და



		დამტკიცოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და ძალადაკარგულად გამოაცხადოს აქამდე მოქმედი დოკუმენტი.
ინდიკატორი N.3.6.5.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას მიეცა რჩევა - ვებ გვერდზე ატვირთოს ინფორმაცია მოსწავლეთა მხარდაჭერი სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარის სრულად ინფორმირებას.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.	რჩევა 1. სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს უკუკავშირის ეფექტური ფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს სასკოლო ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირებას და სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით უკუკავშირების მიღებას, მაგალითად, მოსწავლეების/მშობლების/დაინტერესებული მხარის გამოკითხვა, ანკეტირება და სხვა მეთოდები) .



ინდიკატორი N 4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	რჩევა 1. სასურველია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა ინფორმირებას პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, კერძოდ, საბაზო-საშუალო საფეხურზე სადამრიგებლო პროგრამაში აისახოს კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის საკითხები, რაც აისახება ამავე საფეხურის დამრიგებლის სამოქმედო გეგმაში. შესაბამისად, დამრიგებლის სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით საბაზო-საშუალო საფეხურზე ჩატარდეს საკონსულტაციო კლასის საათები, რომელთა მიზანია მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.
ინდიკატორი N 4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	რჩევა 1. სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს კვლევის (შესაძლებელია, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი) ეფექტური მექანიზმები/ინსტრუმენტები, რომლითაც შესაძლებელი იქნება გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების დადგენა და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმის გადახედვა. მაგალითად, კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარებისა და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა რჩევა 1. სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის დანართში ჩაიწეროს კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების/ მოთხოვნების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა რჩევა 1. სასურველია, პირველი კლასის მათემატიკის კურიკულუმი გაამდიდრონ სასწავლო რესურსებით (რესურსების სვეტი).
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა რჩევა 1. სასურველია, ყველა კომპლექსური დავალებისთვის შეიქმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც გათვალისწინებული იქნება



		დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები/ მოთხოვნები, რითაც შეფასდება მოსწავლის ნამუშევარი.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხოური ენა რჩევა 1. სასურველია, საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტში მითითებული იყოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	უცხოური ენა რჩევა 1. სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გამოყენებული იყოს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი N2.1.2.1	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები რჩევა 1. სასურველია, ჩვენი საქართველოს კურიკულუმში ქვეცნებები დაზუსტდეს საკითხთან მიმართებით, ქვეცნებისა და საკითხის კორელაცია იყოს მკაფიო მაგ: შემდეგ საკითხებზე „ჰორიზონტის მხარეები“ - ქვეცნება საზოგადო მოღვაწე; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; საკითხი: გურია კურორტებით მდიდარი მხარე - სამიზნე ცნება - „დრო (ცვლილება) ქვეცნებები: ისტორიული ეპიზოდი; ლოკალური ტრადიცია / ლეგენდა / თქმულება.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ფიზიკური აღზრდა და სპორტი რჩევა 1. სასურველია, პედაგოგმა თვალსაჩინოდ გამოაკრას შეფასების კრიტერიუმები, რომ ყველა მოსწავლისათვის ადვილად გასაგები და აღსაქმელი იყოს რა მოეთხოვება, რა შედეგზე სურს გასვლა, რა შედეგზე გავა. ეს მისცემს მასწავლებელს საშუალებას შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული წარმოადგენს	კურიკულუმი მოსწავლეზე
		სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება



	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	რჩევა 1. სასურველია, III, IV, V, VI კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში ჩაემატოს „ძირითადი კონტექსტ მაგალითის“ და „რესურსების“ კომპონენტები; რჩევა 2. სასურველია, III, IV, V, VI კლასების ხელოვნების კურიკულუმებში დაზუსტდეს (ჩაემატოს) სავალდებულო თემატური ბლოკები.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება რჩევა 1. სასურველია , კურიკულუმებში აისახოს სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება რჩევა 1. სასურველია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დეტალურად გაიწეროს გრძელვადიან მიზნებამდე მიმავალი საეტაპო აქტივობები.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება რჩევა 1. სასურველია, ყოველი კომპლექსური დავალებისთვის შეიქმნას შესაბამისი განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედეგებზე.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სახუნებისმეტყველო მეცნიერებები რჩევა 1. უმჯობესი იქნება, თუ საგნობრივი კურიკულუმში დაემატება სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრების მიხედვით . რჩევა 2. უმჯობესი იქნება თუ საგნობრივი კურიკულუმში დაემატება თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა .



--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა რჩევა 1. სასურველია, საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის დანართში ჩაიწეროს კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების/ მოთხოვნების გათვალისწინებით; რჩევა 2. სასურველია, ადაიხედოს საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო და გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის განკუთვნილი სასწავლო რესურსები იქ გაიწეროს, სადაც უკვე განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა/პირობა, სხვა დანარჩენ გრაფაში, სადაც არ არის განსაზღვრული კომპლექსური დავალების იდეა, გაიწეროს მხოლოდ სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სახელმწიფო ენა რჩევა 1. სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული ელექტრონული რესურსების თემასთან შესაბამისობა გადამოწმდეს მექანიკური შეცდომის თავიდან აცილების მიზნით, რათა რესურსები იყოს თემის შესაბამისი.



ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა რჩევა 1. სასურველია, მე-7 და მე-9 კლასის მათემატიკის კურიკულუმი გაამდიდრონ სასწავლო რესურსებით (რესურსების სვეტი).
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა რჩევა 1. სასურველია, ყველა კომპლექსური დავალებისთვის შეიქმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სადაც გათვალისწინებული იქნება დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები/ მოთხოვნები, რითაც შეფასდება მოსწავლის ნამუშევარი.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხოური ენა რჩევა 1. სასურველია, საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტში მითითებული იყოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	უცხოური ენა რჩევა 1. სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გამოყენებული იყოს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები რჩევა 1. სასურველია, გეოგრაფიის მე-8 კლასის და მოქალაქეობის მე-9 კლასის კურიკულუმებში მაგ: მე-8 კლასის სავალდებულო თემაში სამხრეთი ამერიკა, სადაც კომპლექსური ბუნების დავალებაა წარმოდგენილი ჩანს მხოლოდ ის სამიზნე ცნებები, რომელსაც აღნიშნული



		დავალება ამუშავებს, სასურველია წარმოდგენილი იყოს დანარჩენი სამიზნე ცნებები, რომელი საკითხებით დამუშავდება. რჩევა 2. სასურველია, ისტორიის კურიკულუმებში მაგ: მე-8 კლასში ცხრილში (ტექნიკური ფორმატირების გამოყენებით) ქვეთემები სამიზნე ცნებები და საკითხები სასურველია, წარმოდგენილი იყოს ერთმანეთის გასწვრივ, რომ არ იყოს ბუნდოვანება თუ რომელი გრძელვადიანი მიზანი-სამიზნე ცნება რომელი ქვეთემისა და საკითხის ფარგლებში მიიღწევა.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ფიზიკური აღზრდა და სპორტი რჩევა 1. სასურველია, პედაგოგმა თვალსაჩინოდ გამოაკრას შეფასების კრიტერიუმები, რომ ყველა მოსწავლისათვის ადვილად გასაგები და აღსაქმელი იყოს რა მოეთხოვება, რა შედეგზე სურს გასვლა, რა შედეგზე გავა. ეს მისცემს მასწავლებელს საშუალებას შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება რჩევა 1. სასურველია, VIII, IX კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში დაზუსტდეს (ჩაემატოს) სავალდებულო თემატური ბლოკები.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება რჩევა 1. სასურველია, კურიკულუმებში აისახოს სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება



	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	რჩევა 1. სასურველია, ყოველი კომპლექსური დავალებისთვის შეიქმნას შესაბამისი განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედეგებზე.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები რჩევა 1. უმჯობესი იქნება თუ საგნობრივი კურიკულუმში დაემატება სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრების მიხედვით; რჩევა 2. უმჯობესი იქნება თუ საგნობრივი კურიკულუმში დაემატება თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა .

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა რჩევა 1. სასურველია, საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის დანართში ჩაიწეროს კონკრეტული კომპლექსური ბუნების დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმების/ მოთხოვნების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	სახელმწიფო ენა რჩევა 1. სასურველია, მე-11 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თითოეული თემის სწავლებისთვის შესაბამისი სასწავლო რესურსების გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების მიზნით გაიწეროს ელექტრონული რესურსებიც;



		რჩევა 2. სასურველია, მე-10 და მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩო გასწორდეს ტექნიკური ხარვეზების გარეშე, კერძოდ, კომპლექსურ დავალებზე მუშაობისთვის განკუთვნილი სასწავლო რესურსები იქ გაიწეროს, სადაც უკვე განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა/პირობა, სხვა დანარჩენ გრაფაში, სადაც არ არის განსაზღვრული კომპლექსური დავალების იდეა, გაიწეროს მხოლოდ სასწავლო რესურსები; რჩევა 3. სასურველია, მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩოს ტექსტების გრაფაში მხატვრული ფილმისა და სპექტაკლის ნაცვლად ჩაიწეროს მხოლოდ ტექსტები, სასწავლო რესურსების გრაფაში კი - მხატვრული ფილმი და სპექტაკლი;
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მათემატიკა რჩევა 1. სასურველია, საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი გაამდიდრონ სასწავლო რესურსებით(რესურსების სვეტი).
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა რჩევა 1. სასურველია, ყველა კომპლექსური დავალებისთვის შეიქმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სადაც გათვალისწინებული იქნება დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები/ მოთხოვნები, რითაც შეფასდება მოსწავლის ნამუშევარი.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	უცხოური ენა რჩევა 1. სასურველია, საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტში მითითებული იყოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა.



ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	უცხოური ენა რჩევა 1. სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გამოყენებული იყოს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება რჩევა 1. სასურველია, ყოველი კომპლექსური დავალებისთვის შეიქმნას შესაბამისი განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედეგებზე.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება რჩევა 1. სასურველია, საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმი სავალდებულო პროექტში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება შემუშავდეს სავალდებულო პროექტი მუსიკაში.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები რჩევა 1. უმჯობესი იქნება თუ საგნობრივი კურიკულუმში დაემატება სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრების მიხედვით; რჩევა 2. უმჯობესი იქნება თუ საგნობრივი კურიკულუმში დაემატება თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა .

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაგის საჯარო სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის სკოლის მისიაა - სკოლამ უნდა უზრუნველყოს: უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალი გარემო, სწავლა-სწავლების მაღალი სტანდარტები, ზრუნვა მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

სკოლის ხედვაა - სკოლამ უნდა შეუქმნას ყველა მოსწავლეს უსაფრთხო, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობისაგან თავისუფალი კომფორტული გარემო. დაამკვიდროს მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლება.

ყველა მოსწავლე შეიძლება იყოს პატრიოტი, ტოლერანტი, დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მატარებელი, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების, საზოგადოებისთვის მისაღები კულტურის მქონე პიროვნება.

სკოლის ღირებულებებია:

- პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
- სხვისი აზრის პატივისცემა;
- მიუკერძოებლობა;
- საქმის სიყვარული და ერთგულება;
- პროფესიული ზრდა და განვითარება;
- გუნდური მუშაობა;
- გულწრფელობა.

რამდენადაც წარმოდგენილი მისია და ხედვა ფაქტობრივად იმეორებს სათქმელს სკოლას მიეცა რჩევა: მისიის და ხედვის შემუშავების დროს გაითვალისწინოს, რომ მისია ასახავს ორგანიზაციის ფუნდამენტურ/ძირითად დანიშნულებას და მისი საშუალებით ხდება ორგანიზაციის იდენტობის ფორმირება, ხოლო ხედვა წარმოადგენს შუა რგოლს მისიასა და სტრატეგიულ გეგმას შორის. შესაბამისად, ხედვა უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიული გეგმის შემუშავების ძირითად ორიენტირს, ის არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით). ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს მისიისა და ხედვის გადახედვა და გადამუშავება. ამ მიზნით დირექტორის 2024 წლის 29 მარტის N2-33 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ჯგუფში გაწევრიანებულები არიან სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მშობელი, თვითმმართველობის წარმომადგენელი.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

წარმოდგენილი მისიიდან და ხედვიდან იკვეთება, რომ სკოლას გააზრებული აქვთ საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის შექმნაში. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს რიგი მარეგულირებელი დოკუმენტებისა, მათ შორის შინაგანაწესი, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესები, ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, საგნობრივი კურიკულუმი და სხვა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესამუშავებლად, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული მექანიზმების თანახმად, ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც დასტურდება კათედრების ოქმებით, მშობელთა კრებების ოქმებით. მისიის და ხედვის პროექტები შესთანხმებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგთა და მიიღო საბოლოო სახე.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით და როგორც უკვე აღინიშნა (1.1.1.1.) მის გადასამუშავებლად შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებული არიან სასკოლო საზოგადოების თითქმის ყველა რგოლის წარმომადგენლები. ამავე მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარი მასწავლებლებისთვის, რომლის შესწავლის შემდგომ სკოლას მიეცა რჩევა - გადახედოს კითხვების ფორმულირებას და შეიმუშავოს მიზნობრივი კითხვები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ექსპერტთა მიერ შემოწმდა: პედაგოგის ოქმი, სამეურვეო საბჭოს ოქმი, მშობელთა კრებების ოქმები, რითაც დასტურდება, რომ წარმოდგენილი სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლების გადახედვას და გადამუშავებასაც სკოლა გეგმავს მის მიერვე შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ასევე გაზიარებული იქნება მათ მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის მისია და ხედვა გამოკრულია შენობის შემოსასვლელში პირველ სართულზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ისინი განთავსებული სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, სკოლის ვებ-გვერდზე <https://skolebi.emis.ge>, რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროდ ხელმისაწვდომობას და რაც ასევე იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ახლად გადამუშავებული სკოლის ფილოსოფია, ასევე ხელმისაწვდომი იქნება საჯაროდ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელი სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით, სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლისთვის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- დირექტორის ბრძანება - სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ოზრის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი მისიის გაცნობაზე;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი “ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 22 მარტის ბმანებით N2-10. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმები, მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც განხორციელდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. სკოლამ მთავარ ორიენტირად განსაზღვრა სასკოლოს საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი განხორციელდება 7 წელიწადში ერთხელ. ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა დაიწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში.
- რამდენადაც წამოდგენილი მეთოდოლოგია ძალიან ზოგადია, სკოლას მიეცა რჩევა მოახდინოს მეთოდოლოგიის ადაპტირება, განსაზღვროს და დეტალურად გაწეროს თუ როგორ ხდება დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გაანალიზება. წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ, ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, თუმცა თვითშეფასებასთან ერთად გადმოგზავნილი “შესაბამისობის გეგმით” განსაზღვრული აქვს მისი შემუშავების პერიოდი 29.03.2024 - 9.09.2024. რამდენადაც სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება უნდა განხორციელდეს სწავლის დაწყებამდე 1 კვირით ადრე და ის უნდა შეიქმნას სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, ხოლო თავად სამოქმედო გეგმა უნდა გამომდინარეობდეს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმიდან სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია; გადახედოს ვადებს და სტრატეგიული გეგმის შემუშავების ბოლო ვადად განსაზღვროს გონივრული პერიოდი, რაც ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებას სასწავლო წლის დაწყებამდე.

ინდიკატორი შეფასდა როგორც “მეტწილად შესაბამისი”

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

თვითშეფასებასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც არ ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა სტანდარტებთან შესაბამისობი გეგმით, ახალი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება, განსაზღვრა 2024 წლის 19 სექტემბრისთვის. რამდენადაც სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და დამტკიცება უნდა განხორციელდეს სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირით ადრე, სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - გადახედოს ვადებს და სამოქმედო გეგმა შეიმუშავოს სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებამდე.

ინდიკატორი შეფასდა როგორც “მეტწილად შესაბამისი”

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

რამდენადაც სკოლის მირ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არ გამომდინარეობს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმიდან (1.2.1.3) და მასში არ არის ასახული ამ ინდიკატორის ყველა მოთხოვნა, სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი შეფასდა როგორც “მეტწილად შესაბამისი”.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის თვითშეფასება;
- სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასების საკითხები. კერძოდ, ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, სკოლა განახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც გამოვლინდება სკოლის შესაძლებლობები და მომავალი განვითარების პერსპექტივები. ამ მიზნით წელიწადის განმავლობაში დაიგეგმება მონიტორინგების ჩატარება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას გაუწევს სამეურვეო საბჭო. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესში სამუშაო ჯგუფის მიერ შეგროვდება და გაანალიზდება მონაცემები და მტკიცებულებები გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით და აღნიშნულს ანგარიშის ფორმით წარედგინება სკოლის დირექტორს, შემდგომი რეაგირებისათვის.

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, ასევე სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ვადები. კერძოდ, ყოველი 3 წლის შემდგომ და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე.

სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა - დეტალურად გაწეროს თუ როგორ ხდება დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და გაანალიზება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; ექსპერტთა მიერ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის <https://emis.ge/> მონაცემების და ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მართვის ინსტრუქციების შესწავლით, დადგინდა რომ სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი. სკოლის კოლეგიური სამუშაო ჯგუფების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამტატო განრიგის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული არიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში და ასევე სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამის ფარგლებში 1 დამლაგებელი და 2 მეეზოვე.

21 მასწავლებელი, მათ შორის არიან: 2 წამყვანი, 16 უფროსი, 1 სპეცმასწავლებელი, 2 მაძიებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და საქმისმწარმოებელი ამავდროულად არიან მასწავლებლებიც.

სკოლის მართვის ინსტრუქციების თანახმად განსაზღვრულია დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის თანამშრომლებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობების შესაბამისად. მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის წესების მიხედვით. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლის შესწავლით დადგინდა, რომ პერსონალის უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები გამიჯნულია და არ ხდება ფუნქციათა აღრევა/გადაკვეთა, რაც ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას. პერსონალის მართვის პროცესის დასარეგულირების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განხილული და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 8 აპრილის N 2-39 ბრძანებით, დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების მექანიზმები. შესაბამის პირებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი და მეგობრული გარემო, ყველა სტრუქტურული რგოლი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურადაა ჩართული სკოლის მიზნებისა და გეგმის განხორციელებაში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- <https://emis.ge/> მონაცემები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების ბრძანება;

- ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- დირექტორის ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის შრომის შინაგანაწესი თანხვედრაშია პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებთან, სკოლის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესში ნებისმიერი ცვლილების საჭიროების შემთხვევაში ცვლილება განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დასაქმებულთან, მათ შორის მასწავლებლებთან დადებულია მათი სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელშიც შრომის კოდექსის შესაბამისად გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა მიღების, გათავისუფლებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რაც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის მასწავლებლების შერჩევისას გათვალისწინებულია “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები.



სკოლის მხრიდან ინტერვენციული ქმედება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლის საავადმყოფო ფურცელზე ან დეკრეტულ შვებულებაში გასვლის შემთხვევაში სკოლა ნიშნავს შემცვლელ მასწავლებელს, იმ შემთხვევაში თუ სკოლაში არ არის საკმარისი ადამიანური რესურსი, სკოლის მხრიდან რესურსის მოძიება ხდება მეზობლად მდებარე სოფლის სკოლებში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა გამოცხადებული ვაკანსიები და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები, რითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასაქმების შეზღუდვის შემთხვევებს, და შესაბამისად ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არიან ნასამართლევნი, არ აქვთ ჩამორთმეული უფლება და არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა, რომ სკოლაში დასაქმებული ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სკოლის მიერ შემუშავებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ხოლო მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიდან გამომდინარე და გათვალისწინებით სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის მასწავლებლები გაერთიანებული არიან სხვადასხვა

სტრუქტურულ ერთეულში. სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და მიღებულ უკუკავშირს, ითვალისწინებენ შემდეგი გაკვეთილის დაგეგმვისას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის წევრები ასევე ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს. ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებითაც. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია (ბრძანება ერთჯერად ფულად ჯილდოზე) და სხვ. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა და რაც ასევე სკოლის თვითშეფასებაშია წარმოდგენილი, დირექციის მხრიდან ყოველთვის არის მზაობა ხელი შეუწყოს თვითოეული მასწავლებლის წარმატებასა და წინსვლას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ღია კონკურსის ვადების პირობების და კომისიის შექმნის ბრძანება;
- კონკურსის ჩატარების წესი;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- ხარისხის ჯგუფის დებულება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრაზე;
- ბრძანება ერთჯერად ფულად ჯილდოზე.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის შესაბამისად სკოლაში იგეგმება პერსონალის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენა. სკოლა ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე, რაც დადასტურდა სკოლის ბუღალტრის პირადი საქმის გაცნობის შედეგად. დირექციამ მისთვის დააფინანსა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ჩატარებული ტრენინგი, ფინანსური ანგარიშგების შესახებ. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომლის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ადმინისტრაციის ინფორმაციით სკოლის დირექცია და კათედრები ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდება უკუკავშირის მიცემა, კათედრაზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება. ხარისხის ჯგუფი, გაკვეთილებზე დაკვირვებით ავლენს მასწავლებელთა საჭიროებას, აძლევს რეკომენდაციას და თავად მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას განათლების სამინისტროს მიერ სტატუსის შესაწარმოებელი საგნის სავალდებულო ტრენინგების ჩამონათვალიდან აირჩიოს მისთვის სასურველი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ჩართული იყო პროექტში „ახალი სკოლის მოდელი“ და შემდგომ მონაწილეობა მიიღო ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში. 2024-2025 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს მასწავლებელთა საჭიროებების დასადგენად შეიმუშავოს კითხვარები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარების მიზნები, რომლის ფარგლებშიც სკოლა ვალდებულია მხარდაჭერა გამოუცხადოს პერსონალს, მისი როგორც პროფესიული განვითარების ასევე კარიერული ზრდის მიმართულებას. რაც ბუნებრივია სასკოლო გარემოს გაუმჯობესებასა და მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებაზეა ორიენტირებული. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, სკოლამ ასევე უნდა შესთავაზოს თანამშრომლებს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდები, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ამავე დოკუმენტის თანახმად სკოლა სისტემატურად უნდა აწარმოებდეს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას, ხოლო შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა დაიგეგმოს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი.

როგორც უკვე აღინიშნა, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლაში წახალისებულია მასწავლებელთა თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, სიახლეების გაცნობის მიზნით, დირექცია დროულად აცნობს სკოლის მთელ პერსონალს, საკანონმდებლო სიახლეებს და საგანმანათლებლო სიახლეებს, ეხმარება მათ შესაბამისი ინფორმაციის, ტრენინგების, კონფერენციების, ელექტრონული რესურსების მოძიებაში. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი ხელმძღვანელობენ სკოლის მისიით, რომელშიც ცალსახად არის აღნიშნული, რომ სკოლამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება და შესაბამისად გამოხატავენ მზაობას მაქსიმალურად ხელი შეუწყონ მასწავლებელთა კარიერულ ზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიზნით სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლასა და სსიპ ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლას გაფორმებული აქვთ თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საგანს წარმოადგენს კურიკულუმების ერთობლივი შემუშავება და განვითარება, კათედრებს შორის წარმატებული პრაქტიკის გაზიარება, საერთო პროექტებზე მუშაობა, ერთობლივი საგნობრივი კათედრების შეხვედრები სკოლების ბაზაზე, სასწავლო რესურსების გაზიარება, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონფერენციების ორგანიზება. მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით, დადასტურდა, რომ ყველა მასწავლებელმა გაიარა მასწავლებელთა სახლის ორგანიზებით განხორციელებული სავალდებულო ტრენინგები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში შემუშავებული დოკუმენტის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ მე-18 მუხლში გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის, ადაპტაციის პროცედურები და ეტაპები. ადაპტაციის ეტაპებს სკოლა ჰყოფს 3 ნაწილად: 1. მოლოდინი - რაც გულისხმობს

მუშაობის დაწყებამდე დადებითი მოლოდინების შექმნას, 2. შეხვედრა - რაც გულისხმობს სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვის განმავლობაში, ფორმალურ და არაფორმალურ სოციალიზაციის პერიოდს და 3. “ოჯახის წევრობა” სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების პერიოდს. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა ტრადიციებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის თანამშრომელთა ცნობებით და სერტიფიკატებით დასტურდება, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლებს დაესწრონ მათთვის საინტერესო და სასუველ ტრენინგებს. ასევე, პერსონალის განვითარების წახალისებას ემსახურება სკოლის შინაგანაწესით გაწერილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებიც. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები/ცნობები;
- ხარისხის ჯგუფის დებულება;
- სკოლებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი;
- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 22 მარტის N2-17 ბრძანებით. დოკუმენტით განსაზღვრულია წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, მონიტორინგს, რევიზიას და ეფუძნებიან პროცესულ მიდგომას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დანერგვას და გაუმჯობესებას, ასევე გარე შეფასების (ავტორიზაცია) უკუკავშირის გაანალიზების შედეგად შიდა შეფასების მექანიზმების დახვეწას.

რამდენადაც სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ზოგადია, ექსპერტთა მიერ გაიცა რჩევა - დოკუმენტით განსაზღვრონ, თუ სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით, რომელი ინსტრუმენტებით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, სკოლის შინაგანაწესში, თანამდებობრივ ინსტრუქციებში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. არსებულ დოკუმენტებში გაწერილია დირექციის, ადმინისტრაციისა და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები მართვის პროცესში. შესაბამისად კოლაგის საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო პროცესების მმართველობაში ჩართულია დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის N2-35 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - „სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან განცხადებების/გადაწყვეტილებების და საჩივრის განხილვის წესი“ აღწერილია სკოლაში განცხადებების/საჩივრის განხილვის ძირითადი პრინციპები და პროცედურები. წესის თანახმად საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, ხოლო დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი. წესში განხილულია ყველა ეტაპი, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი პირის უფლებები, წარმოების ვადები და გასაჩივრების პროცედურები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესში, მასწავლებელთა შრომით და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელშეკრულებებში. აღსანიშნავია, რომ სკოლის პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია სკოლის შინაგანაწესთან, რომელიც ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვას. ამასთანავე სკოლის დირექტორის ბრძანება N2-07-ით (07.03.2024წ.) დამტკიცებულია პერსონალის მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- განცხადებების და საჩივრის განხილვის წესი;
- თანამშრომლების წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების გაცემაზე;
- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 მარტის N2-26 ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ურთიერთობის წესებს, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მათთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების ფორმებს, სკოლაში არსებული მდგომარეობის, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს.

სკოლის მხრიდან გამოიყენება ოფიციალური სოციალური არხი ფეისბუქის (Facebook) სივრცე. სოციალური ქსელის არხი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას, ამ მიზნით ახორციელებს ინფორმირებას, როგორც პირისპირ შეხვედრის დროს, ასევე სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს ასევე სკოლის სივრცეში განთავსებულ საინფორმაციო დაფას, სადაც გამოკრულია საჭირო ინფორმაცია. უნდა აღინიშნოს, რომ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება მშობელთა კრებაზე (პერსონალური მონაცემების დაცვით), Teams-ის პლატფორმის საშუალებით ონლაინ, ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, ელექტრონული ფოსტითა და ტელეფონით და ასევე სოციალური ქსელის საშუალებით. კომუნიკაციის აღნიშნული საშუალებები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი ძალიან ზოგადია შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა - მოახდინოს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის ადაპტირება სკოლის საჭიროებასთან და განსაზღვროს ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულია და ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მათი მუშაობის ამსახველი ოქმები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ამსახველი ოქმები;
- კლასის დამრიგებლების დებულება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
- თვითმმართველობის დებულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;



3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლის ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს მანდატური, მაგრამ გადამზადებული და დანიშნულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფენ ასევე მორიგე მასწავლებლები. მათ მოვალეობებში შედის პირველ სართულზე, სასწავლო პროცესის პერიოდში, შენობაში შემომსვლელ პირების გაკონტროლება და მათი სარეგისტრაციო ჟურნალში შეტანა. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც პასუხისმგებელია უცხო პირთა გადაადგილებაზე. სკოლის შენობის შიდა სივრცეები და პერიმეტრი კონტროლდება 8 (მათ შორის 5 გარე და 3 შიდა კამერა) ვიდეოკამერით, შენობის ტერიტორია მთლიანად შემოსაზღვრულია, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის გარე პერიმეტრზე, შენობის უკან სკოლას აქვს სარდაფი, რომელში მოხვედრაც კიბეებით არის შესაძლებელი, თუმცა არ კონტროლდება ვიდეოკამერით. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა - უზრუნველყოს სარდაფის კიბეების გაკონტროლება, რისთვისაც საჭიროა ერთი ვიდეოკამერის დამატება.

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლაში გამოყოფილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. ორივე სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმები. ასევე შექმნილია საგანგებო შტაბი. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (11/04/2024 MIA 0 24 01086446)

უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის 2024 წლის 5 აპრილის ბრძანებით N2-36 დამტკიცებულია სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია შესაბამის ლაბორატორიებში.

სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N11/04 საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV75240000) შესახებ, რომელიც გაფორმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირთან - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით.

სკოლამ ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობის ტექნიკური მდგრადობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, თუმცა თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად წარმოადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, დასკვნის მოპოვების ვადად სკოლას განსაზღვრული აქვს 2025 წლის 14 მარტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას დაწყებული აქვს პროცესი, რაც დასტურდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დარეგისტრირებული ბარათით და მათთან დადებული ხელშეკრულებით N ე-145 / 6 (საექსპერტო მომსახურების შესახებ) 14 მარტი 2024 წელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა (მეტწილი) შესაბამისობის რეკომენდაცია: სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (14 მარტი, 2025) უზრუნველყოს სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება.

ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნომერი; უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომერი; სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის (სამმართველოს) ცხელი ხაზის ნომერი; სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომერი; საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი.

სკოლას მიეცა რჩევა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან ან საკუთარი კადრის, ამ მიმართულებით, გადამზადებასთან დაკავშირებით და ასევე სკოლას მიეცა რჩევა საქართველოს კანონის -პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ (მუხლი 33) შესაბამისად დანიშნოს ან განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.



2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა არსებული ნორმატიული აქტი და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები. კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით რომელიც ნიავედება ბუნებრივი ვენტილაციის გზით. ასევე უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, კარადები რომლებშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ.

სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, რომელიც აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს და ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ფორმებით (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი). მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ №06/ნ ბრძანების მოთხოვნებს. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება სკოლის თანამშრომლების საშუალებით. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას, დირექტორის ბრძანებით, ჰყავს უსაფრთხოების დაცვაზე გამოყოფილი უფლებამოსილი პირი და ასევე მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირებზე დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები (დირექტორის ბრძანება N2-65 13 სექტემბერი, 2018).

რამდენადაც სკოლაში არ ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, სკოლას მიეცა რჩევა - მოახდინოს დოკუმენტის მოდიფიცირება და შექმნას საკუთარი, სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების მოდიფიცირებული დოკუმენტი.

სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უკეთ დაცვის მიზნით, სკოლას მიეცა რჩევა - შექმას მეთოდოლოგია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების შესახებ, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს, რაც სკოლის მისიითაც არის გაწერილი, უზრუნველყოფენ სკოლის მასწავლებლები, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი (2015 წლის, 8 მაისი, ბრძანება N1/კ-14), სკოლის მიერ შემუშავებულია სკოლაში ძალადობისგან დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და რეფერირების წესი. სკოლამ წარმოადგინა რეფერირების ჟურნალი, ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი, წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 დამლაგებელთან და + 1 მეზოვესთან და 2 დამლაგებელთან სოციალური დასაქმების პროგრამის ფარგლებში. სკოლის შენობის ორივე სართულზე განთავსებულია 2-2 სველი წერტილი გოგონებისა და ბიჭებისთვის. პირველ სართულზე განთავსებულია ასევე 1 ადაპტირებული სველი წერტილი, ხოლო მეორე სართულზე განთავსებულია ასევე 2 სველი წერტილი მასწავლებლებისთვის, სველ წერტილები აღჭურვილია მოთხოვნის შესაბამისი ინვენტარით და მასალით. არის თავდახურული ურნები, საპონი, ტუალეტის ქაღალდი და ხელსახოცები. ექსპერტთა შეფასებით, სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, როგორც სკოლის შიდა ასევე გარე პერიმეტრზე. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კოლაგის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 მარტის N2-07 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები და ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (2024 წლის 07 მარტი, ბრძანება N2-08). მოსწავლეთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მასწავლებელთა, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, რაც ასახულია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც. სკოლამ წარმოადგინა ასევე მასწავლებელთა ხელმოწერები, მათი მონაცემების საჭიროებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებით. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის უფლება-მოვალეობები საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. სკოლის პერსონალის ხელშეკრულებების შესწავლით დგინდება რომ მათ აქვთ ვალდებულება დაიცვან და არ გაამჟღავნონ სხვისი პერსონალური მონაცემები, რომელიც ცნობილი გახდა მათთვის პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე.

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება კანონით განსაზღვრული წესის დაცვით. ასევე წესების დაცვით ასახავს სკოლა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში - Eschool.emis.ge მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას, მოძრაობის აღრიცხვას (პირველკლასელთა რეგისტრაციას, მოსწავლეთა მობილობას, სტატუსის შეჩერება/აღდგენას და ა.შ). სკოლა უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)



რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი ვერ შეფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
- ბრძანება საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმების წერილი;
- სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დადგენის ხელშეკრულება;
- ხელშეკრულება სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან, შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენასთან დაკავშირებით;
- რეგისტრაციის ბარათი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში;
- ექიმის ხელშეკრულება;
- ექიმის სარეგისტრაციო ჩანაწერები;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- მშობლებთან შეხვედრის აქტი ნომრების გაცნობაზე;
- მასწავლებლების მორიგეობის ცხრილი;
- წყლის სინჯის დასკვნა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
- თანამშრომლების წერილობითი თანხმობა პერსონალურ მონაცემების გაცემაზე;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესები.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამეა არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N51.13.55.31, რომლის თანახმად სკოლა მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგში (შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 682.60 კვ.მ. და მასზე დამაგრებული 3150.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი). სკოლის შენობა, ორსართულიანია, შენობაში მდებარეობს 7 საკლასო ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბუღალტრის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ოთახი სათავსო ოთახთან ერთად. სკოლის შენობა სრულად რეაბილიტირებულია (2017-2018). სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი და არც მოედანი, რასთან დაკავშირებითაც სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 22 მარტის წერილი MES 6 24 0000340459 - მიმართული სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, რომლის თანახმად სკოლა ითხოვს დახმარებას სპორტული მოედნის მოწყობასთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა სოფელ კოლაგის საჯარო სკოლამ, ანაზღაურების გარეშე ისარგებლოს მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული რესურსით - სპორტული მოედნით, რომელიც მდებარეობს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. სკოლამ გურჯაანის მუნიციპალიტეტს მიმართა ასევე თხოვნით მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სპორტული დარბაზის სარგებლობასთან დაკავშირებით, რაზეც მიიღო ზეპირი თანხმობა (სკოლას ვიზიტის პერიოდში თანხმობის წერილი მიღებული არ ჰქონდა).

ყველა საკლასო ოთახს (7) აქვს ბუნებრივი განათება და აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით არსებულ მოსწავლეთა რაოდენობის (137 – 2 ცვლაში) გათვალისწინებით. სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 150 მოსწავლით.



სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში, მათ შორის არის 5 პროექტორი. სკოლის შენობა არის ბიოტალი, საქვაბე კიბის გასაკონტროლებლად ერთი ვიდეოთავალი. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა ახლად რეაბილიტირებულია და შესაბამისად ყველა სივრცე მოწესრიგებულია. საბუნებისმეტყველო ოთახის ჭერში დამონტაჟებული გრძელი, მძლავრი გამწოვი სისტემა და 4 ონკანი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი. ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში შემუშავებულია ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით სარგებლობის წესი. ორივე კაბინეტი, ასევე ექიმის კაბინეტი, ადაპტირებული რესურსოთახი, სამასწავლებლო, დიდი ეზო ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა. მასში განთავსებულია სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი. ინახება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის ერთიანი წესი. წიგნადი ფონდისთვის შემუშავებულია ანბანური კატალოგი და ელექტრონული ვერსია ჩატვირთულია კომპიუტერში. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 კომპიუტერი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც დადებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის სათადარიგო შესასვლელში დამონტაჟებულია მყარი პანდუსი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის. პირველ სართულზე ადაპტირებულია 1 სველი წერტილი. შენობის მეორე სართულზე ასასვლელად სკოლას არ აქვს ლიფტი და მასზე, კიბის დახრის კუთხის და სიმაღლის გამო, პანდუსის დამონტაჟება, ვერ მოხერხდება, გამომდინარე აქედან სკოლამ თხოვნით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, ლიფტის დამონტაჟებასთან დაკავშირებით და მიღებული პასუხის თანახმად, დგინდება, რომ იგეგმება სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს თანამშრომლების მივლინება სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლაში საკითხის ადგილზე შესწავლის მიზნით, მათ შორის, სპეციალისტების მიერ განხილული იქნება ლიფტის მოწყობის შესაძლებლობა არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის საფუძველზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ თვითშეფასებასთან ერთად გადმოგზავნილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ლიფტის დამონტაჟების ვადად განსაზღვრა 2026 წლის, 29 მარტი. შესაბამისად სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს ლიფტის დამონტაჟება და შესაბამისად ინკლუზიური გარემოს შექმნა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. გამომდინარე აქედან ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, ასევე სკოლის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედანი ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა აღჭურვილია ინტერნეტით, მთელ შენობაში არის Wi-Fi, კომპიუტერულ ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. მასში განთავსებულია 15 პერსონალური კომპიუტერი. სკოლას აქვს 7 პრინტერი და მათ შორის, 1 ფერადი პრინტერი, ასევე 18 ლეპტოპი 4 პროექტორი. ლეპტოპები განთავსებულია ასევე ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკაში, სამასწავლებლოში. სკოლაში სულ 21 მასწავლებელია და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 150 მოსწავლით, შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ეფექტიანად და უსაფრთხოდ გამოყენების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით (2024 წლის 5 აპრილი N2-36). ლაბორატორიაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა ასევე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი დაწყებითი კლასებისთვის. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი და მოსწავლეები, კომპიუტერულ ლაბორატორიას იყენებენ საჭიროებისამებრ. საგნობრივი ოლიმპიადების, კვლევების, სასკოლო აქტივობების ჩასატარებლად, როგორც სწავლის პერიოდში, ასევე გაკვეთილების შემდეგ. ტექნოლოგიების ლაბორატორიაში გამოკრულია კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი, რაც უზრუნველყოფს რესურსის თანაბარ წვდომას როგორც პედაგოგებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლამ წარმოადგინა მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რითაც ხელმძღვანელობს საქმისწარმოების პროცესში. დაწესებულებაში დოკუმენტაციის ბრუნვა წარმოადგენს დოკუმენტების მოძრაობის ერთიან ციკლს, მისი შექმნის ან შემოსვლის მომენტიდან, მის შესრულება-გაგზავნამდე (შენახვა/განადგურების ჩათვლით) და მოიცავს შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციას. საქმისწარმოების წესით დარეგულირებულია ბრძანებების, წერილების, ოქმებისა და სხვა დოკუმენტების მომზადებისა და გაფორმების წესები და პროცედურები.

დირექტორის ბრძანებით სკოლაში დასაქმებულია საქმისწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. იგი ექვემდებარება სკოლის დირექტორს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. მისი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი შრომით ხელშეკრულებასა და სკოლის თანამდებობრივ ინსტრუქციებში. მასთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმებით ირკვევა, რომ იგი უზრუნველყოფს საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტების დამუშავებასა და შესრულებული სამუშაოს კონტროლს, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას, მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებას და აკონტროლებს მოსწავლეთ პირადი საქმეების წარმოებას. უზრუნველყოფს ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებებისა და გასაგზავნი წერილების პროექტების მომზადებას და ელექტრონულ სისტემაში - eschool.emis.ge მუშაობას.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედებს შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ელექტრონული წესი. სკოლას აქვს შემოსული და გასული წერილების, საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

იმის გათვალისწინებით, რომ 2024 წლის 01 მარტიდან ამოქმედდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონი, სკოლას მიეცა რჩევა - ახალი კანონის თანახმად დაამტკიცოს ახალი პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და ძალადაკარგულად გამოაცხადოს აქამდე მოქმედი დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;



სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ბრძანებების, წერილების, მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ხორციელდება სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტას, ვებგვერდს, Microsoft Teams და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სოფელ კოლაგის საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, eschool.emis.ge - ის პლატფორმაზე. აღნიშნულ ბაზაში, ვადების დაცვით ხდება ინფორმაციის ასახვა, სახელმძღვანელოების არჩევა ან ვარგისიანობის შეფასება, მოსწავლეთა მობილობა, სსსმ სტატუსის მონიშვნა. მოსწავლეებისა და თანამშრომლების ზოგად გვერდზე საჭირო ინფორმაციის ასახვა და სხვა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, და მის დაქვემდებარებაში მყოფ სხვა სტრუქტურულ ერთეულებს. სკოლა ყოველწლიურად, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, “საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს” და საქართველოს პრემიერ-მინისტრს. სკოლამ წარმოადგინა ასევე ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის ანგარიში, რომელიც დროულად გადაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
- 10 დეკემბრის ანგარიში პრემიერ-მინისტრს;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სკოლა იყენებს: ვებგვერდს skolebi.emis.ge, ოფიციალურ facebook გვერდს, ელექტრონულ ფოსტას: kolagi@mes.gov.ge, სასკოლო აქტივობების ბლოგს, Teams-ის პლატფორმას. მშობლების სწრაფი ინფორმირებისათვის - მესენჯერის დახურულ ჯგუფებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური- სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომლის მიზანია ორმხრივი, ხანგრძლივი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების შექმნა და შენარჩუნება, როგორც სკოლის გარეთ, ასევე მის შიგნით. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის facebook გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელიც მუდმივად განახლებადია. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით, ასევე შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგებით, დგინდება, რომ მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების,

კონფერენციების შესახებ. ასევე, პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები ეცნობებათ მშობლებს დროულად. წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
სკოლას აქვს ვებგვერდის შესაბამისი ქართული გვერდი, რომელიც განთავსებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდზე - <https://skolebi.emis.ge/>, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
სკოლის სოციალური გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია და ფოტომასალა სკოლის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდი - <https://skolebi.emis.ge/> მოიცავს ინფორმაციას, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ასევე 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და სკოლის შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 6 სექტემბრის N3 სხდომაზე. შინაგანაწესით სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განსაზღვრულია: შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხები, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სკოლაში ჩაცმულობის წესი დაა სხვა. ექსპერტთა მიერ გაიცა რჩევა: ვებ გვერდზე ატვირთოს ინფორმაცია მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვებგვერდი <https://skolebi.emis.ge/>;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
- ელ.ფოსტა - kolagi@mes.gov.ge.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ფინანსურ რესურსს ძირითადად მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება წარმოადგენს, რომელიც მიმართულია სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად, წინასწარ დაგეგმილი წლიური ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის სახით. სკოლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს ხელფასების, სხვადასხვა სასწავლო რესურსის, საკანცელარიო ნივთებისა და სპორტული ინვენტარის შეძენას. ასევე სხვადასხვა მომსახურების ანაზღაურებას. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე თვეში დირექტორი ბუღალტერთან ერთად წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. შესყიდვების გეგმა დგება ბაზრის კვლევის საფუძველზე, რომელიც აისახება სახელმწიფო შესყიდვების გვერდზე, მიმდინარე წლის არაუგვიანეს 20 ნოემბრისა. სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი და გეგმის ფორმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ყველა პროცედურა. სკოლის დირექცია ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და მართვას უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ამ მიზნით ის ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს, საჭიროების შემთხვევაში ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირება.



სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევასა (დირექტორი) და სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირი (2023 წლის, 16 ნოემბერი, ბრძანება N2-58 - სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორად, შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის გეგმის ცვლილებაზე ასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ). წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის 2023-2024 წლის ბიუჯეტი;
- შესყიდვების გეგმა;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი და გეგმის ფორმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, რომლებიც საშუალებას აძლევს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს, მათ შორის მოსწავლეებს, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თავიანთი წვლილი შეიტანონ სკოლის განვითარებაში, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში არჩეულია სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია მოსწავლეების, მშობლებისა და მოსწავლეების თანაბარი რაოდენობით. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით - შინაგანაწესი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.

სკოლას არ ჰყავს მანდატური, შესაბამისად, დირექტორის ბრძანებით დანიშნულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ზრუნავს უსაფრთხოებაზე და რეგულირებაზე. სკოლას ასევე ჰყავს ექიმი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო დახმარებას უწევს მოსწავლეებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.), რასაც ადასტურებს მშობლების მხრიდან ხელმოწერა შინაგანაწესის გაცნობაზე.

აღნიშნული დოკუმენტები გამოკრულია საჯაროდ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, შესაბამისად სკოლაში დასაქმებული პირები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ფლობენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. გააზრებული აქვთ სკოლაში ქცევის წესები და ინფორმირებულნი არიან დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას, საინფორმაციო დაფაზე ასევე გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები (განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირი, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, სახალხო დამცველი), რომლით სარგებლობაც, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია როგორც მოსწავლეს ასევე მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 61 პუნქტის შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ. ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება მოვალეობები, ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უწყდება სტატუსი, ან გადადის სასწავლებლად სხვა სკოლაში, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ავტომატურად წყდება. მოსწავლეთა უფლებების დაცვისა და კანონმდებლობის შესაბამისი სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მშობელს, ხოლო მეორე ინახება სკოლაში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მშობელთა კრების ოქმი მისიაზე და შინაგანაწესზე;
- შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- მშობელთა კრების ოქმი ნომრების გაცნობაზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- საინფორმაციო დაფის ფოტო;
- სკოლასა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად – „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით, რომლის საფუძველზეც სკოლას, დირექტორის ბრძანებით, შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

სკოლაში პირველკლასელთა რეგისტრაცია მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამი ეტაპის დაცვით, ხოლო მობილობით მოსწავლე ჩარიცხება მშობლის განცხადებისა და ელექტრონული დასტურის საფუძველზე (მობილობის შემთხვევაში მშობლის განცხადების საფუძველზე ელექტრონული ბაზის მეშვეობით ხდება მომართვის დადასტურება და მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვა). სკოლის პრაქტიკით ასევე დასტურდება, რომ მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე (საზღვარგარეთ გადასვლა). სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი.

სკოლის დაწყების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში სკოლა თანამშრომლობს თემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან, რომლის ფარგლებშიც იმართება საინფორმაციო შეხვედრები სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელების მშობლებთან.

არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმები, სემესტრული, საშემოდგომო, წლიური და ექსტერნატის გამოცდების ჩატარების პროცედურები, შესაბამისად, დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას შესაბამისი საკითხებით. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასკოლო სასწავლო გეგმაში დაზუსტებულია მოსწავლის მიერ საფეხურისა და კლასის დაძლევის პირობები, რომლის შესაბამისად კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში - სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.

მოსწავლის მიერ საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პედაგოგიური საბჭო, რაც ფორმდება კოლეგიალური ორგანოს სხდომის ოქმით. პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე საქმისმწარმოებლის მიერ.



„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ზ ბრძანების შესაბამისად სკოლა პრაქტიკაში იყენებს მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, მაგალითად, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების ორი შემთხვევა დაფიქსირდა (ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა საზღვარგარეთ), რისთვისაც მშობელმა სკოლას მიმართა განცხადებით და მოითხოვა მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება. აღნიშნული განცხადების საფუძველზე დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მოსწავლეს შეუჩერდა სტატუსი, რაც შემდგომ აისახა eSchool-ის ბაზაში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს ღია კარის დღეს (ძირითადად სურვილს გამოხატავენ პირველ კლასის მოსწავლეების მშობლები), სადაც პირველ კლასში შემსვლელი მოსწავლეების მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ.

საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული პირთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმას და არის კანონმდებლობის შესაბამისი.

სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, მშობელთან ურთიერთობის წესი. დირექტორის ბრძანებით დანიშნულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით, თვალსაჩინო ადგილას განთავსებს საჭირო ინფორმაციას. სკოლას აქვს ვებ გვერდი, სადაც მიმდინარეობს ინფორმაციის საჯაროდ განთავსება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების ბრძანება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი საფეხურის დაძლევაზე;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

ტრანზიციის პროგრამის ფარგლებში სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც რომელშიც აღწერილია ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი (მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი, სასკოლო მზაობა და სხვ), რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოსწავლის მიერ ახალ გარემოში ადაპტაციის პროცესში. გარდა ამისა, აღნიშნულ დოკუმენტში რეკომენდაციის სახით გაწერილია მოსწავლეთა ტრანზიციის პროცესისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები.

ზემოაღნიშნული წესების გათვალისწინებით, სკოლაში მოსწავლის სხვა სკოლიდან გადმოსვლისა და პირველ კლასში ჩარიცხვის დროს სკოლა გეგმავს საორიენტაციო ვიზიტებს და მოსწავლესა და მშობელს აცნობს მომავალ მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებელს. კლასის დამრიგებელი ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ინფორმაციას მისი მიღწევებისა და თავისებურების შესახებ, გეგმავს შეხვედრებს მომავალ თანაკლასელებსა და მშობლებთან და აცნობს მათ სკოლის ფიზიკურ გარემოს. აღნიშნული აქტივობის მიზანია მოსწავლისათვის სკოლაში ადაპტირების პროცესის ხელშეწყობა და მშობლებისთვის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, მათი მხარდაჭერა ბავშვის სათანადო მომზადებაში, რათა ტრანზიციის პროცესი სასიამოვნო და ნაკლებ სტრესული აღმოჩნდეს როგორც ბავშვისთვის, ისე მისი მშობლისთვის.

სსსმ მოსწავლეებისთვის, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისად ხორციელდება მისი სწავლება და სოციალური ადაპტაცია. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკს საკლასო გარემოს მოწყობისას. მაგალითად, ავეჯი სივრცე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს, ტრადიციულად, სკოლას აქვს გახსნის ღონისძიება, რაც მოსწავლეებსა და მათ მშობლებს უქმნის შესაბამის განწყობას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერი მექანიზმები, კერძოდ, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად დანიშნული ნებისმიერი ტიპის გამოცდის (საშემოდგომო, ექსტერნის, სემესტრული, წლიური) შემთხვევაში გამოცდამდე სკოლა კონსულტაციებს უწევს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნებათ აღნიშნული ტიპის გამოცდა. გარდა ამისა, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეებს უწყვეტ რეჟიმში აწვდიან დროულ და კონსტრუქციულ უკუკავშირს. უკუკავშირში აქცენტი კეთდება მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე.

აღსანიშნავია, რომ მშობელთან ურთიერთობის დებულებით (კომუნიკაციის სტრატეგია) განსაზღვრულია მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების მექანიზმები, კერძოდ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება ინდივიდუალური შეხვედრების, ტელეფონის, ელექტრონული ჟურნალის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა ნებისმიერ დროს მზადაა მოსწავლეებს გონივრულ ვადებში მიაწოდოს ინფორმაცია და გაუწიოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში (სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი და სხვ.) გაწერილია გამოცდებისთვის მოსწავლეთა ინფორმირების წესი, მომზადების პროცედურები და გამოცდების (ექსტერნის, სემესტრული, საშემოდგომო და სხვ.), ოლიმპიადებისა და სხვადასხვა კონკურსის დროს მასწავლებელთა მხრიდან გასაწევი კონსულტაციების ვალდებულება. შესაბამისად, მოსწავლეები დროულად არიან ინფორმირებული სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. მაგალითად, ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის,

მობილობისა და სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ კლასის დამრიგებლები და, საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები გონივრულ ვადებში კომუნიკაციის მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებით აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას ადგილზე ვიზიტის დროს იკვეთება, რომ სკოლისთვის პრიორიტეტია ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ხელი შეუწყოს არაფორმალური განათლების გაძლიერებას, რისთვისაც სკოლის დირექცია მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელს უწყობს არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში და დროულად აწვდის მათ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებზე.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში მოქმედი კლუბები - ნორჩ ისტორიკოსთა კლუბი „მატიანე“, ეკო კლუბი „მომავალი ჩვენი“, სამოქალაქო განათლების კლუბი „მომავლის გასაღები“, მკითხველთა კლუბი - ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, რომელშიც გაერთიანებულია საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები. შესაბამისად, სასკოლო კლუბების მიერ განხორციელებული პროექტებია: „შევიჩაქუნოთ მწვანე საფარი“, „ნუ დავაბინძურებთ გარემოს“, „არა ნარკოტიკს“, „ვიზრუნოთ გარემოზე“, „ჩვენ ვიქნებით მედიატორები“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი ადამიანის სიცოცხლის ხარისხის განმსაზღვრელია“.

პრაქტიკით დასტურდება, რომ სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი აქტიურად არის ჩართული პროექტში „მომავლის თაობა“, რომელიც განხორციელდა ამერიკული ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში სამოქალაქო განათლების კლუბმა „მომავლის გასაღები“ დაგეგმა და განახორციელა შემდეგი პროექტები: „სუფთა წყალი - ჯანმრთელობის საწინდარია“, „ჩემი მომავალი პროფესია“, „ადამიანის უფლებები და მოვალეობები“, „ადრეული ქორწინება“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან სკოლაში ფუნქციონირებს დებატკლუბი, რომელშიც გაწევრიანებულები არიან საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სკოლა თანამშრომლობს საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტთან, ხოლო დებატკლუბს ხელმძღვანელობს სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად არის მსაჯი დებატების რაიონულ, რეგიონალურ და ეროვნულ ტურნირებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის გუნდი ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას დებატების ტურნირში, მაგალითად, 2023 წლის შემოდგომაზე სკოლის გუნდმა იდებატა რეზოლუციაზე „საქართველო უნდა გახდეს ნატოსა და ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი“. დაჯილდოებაზე იყვნენ მიწვეულნი ნატოსა და ევროკავშირის ცენტრში. აღნიშნულ აქტივობებში მიღებული ცოდნა და უნარები, როგორცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემის

გადაჭრის უნარი, მისი პრევენცია/ინტერვენცია, შეფასება, ანალიზი, საჯაროდ გამოსვლის ტექნიკა, პრეზენტაცია, უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს სწავლის პროცესში.

სკოლა ასევე ჩართულია USAID-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში ფუნქციონირებს წიგნის მკითხველთა კლუბი, რომელშიც გაერთიანებული არიან დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები. კლუბის წევრები თვითონ ირჩევენ საკითხავ ლიტერატურას და ახორციელებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული, დამოუკიდებელი აზროვნება, მსჯელობა, პრობლემის გადაჭრის უნარი და სხვა. აღსანიშნავია, რომ სკოლის შემოსასვლელში ეწყობა წიგნის კლუბის წევრებისა და სკოლის სხვა მოსწავლეების ნამუშევრების, ხელნაკეთი ნივთებისა და მაკეტების გამოფენა.

სკოლას ჰყავს ფრენბურთისა და ფეხბურთის ორი გუნდი, რომლებიც ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას სპარტაკიადებში, სპორტულ შეჯიბრებებში და წარმატებით იკავებენ საპრიზო ადგილი რეგიონალურ თამაშებზე.

2021-2022 წელს, სკოლა რეფორმის ფარგლებში ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელში“, რომლის ფარგლებში განხორციელდა პროექტი სუფთა გერმო- ჯანსაღი მომავლის საწინდარია“. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღება ძირითადად ხდება ზეპირი ფორმით.

რჩევა - სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს უკუკავშირის ეფექტური ფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს სასკოლო ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირებას და სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით უკუკავშირების მიღებას, მაგალითად, მოსწავლეების/მშობლების/დაინტერესებული მხარის გამოკითხვა, ანკეტირება და სხვა მეთოდები).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- საქმისწარმოების წესი;
- მკითხველთა კლუბის სამოქმედო გეგმა;
- სამოქალაქო განათლების კლუბის პროექტები;
- მკითხველთა კლუბის წესდება;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის სკოლის დირექცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს მიეწოდოთ ინფორმაცია კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სერვისის შესახებ, რაც დაეხმარებათ მათ სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში, თუმცა დირექციის წევრები ამავედროულად აღნიშნავენ, რომ სკოლას არ აქვს ფინანსური და ადამიანური რესურსი საბაზო-საშუალო საფეხურზე პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩასატარებლად.

მიუხედავად აღნიშნულისა სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის ყოველწლიურად ეწყობა ექსკურსიები პროფესიულ სასწავლებელში, სადაც ისინი ადგილზე ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს.

არსანიშნავია, რომ სკოლას აქვს გაფორმებული მემორანდუმი სსიპ კოლეჯი „აისი“-თან. აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია, სკოლის მოსწავლეებისათვის პროფორიენტაციური ხასიათის შეხვედრების ორგანიზება რეალურ გარემოში, ექსკურსიების დაგეგმვა, ერთობლივი პროექტების განხორციელება და სხვ.

რჩევა: სასურველია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა ინფორმირებას პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, კერძოდ, საბაზო-საშუალო საფეხურზე სადამრიგებლო პროგრამაში აისახოს კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის საკითხები, რაც აისახება ამავე საფეხურის დამრიგებლის სამოქმედო გეგმაში. შესაბამისად, დამრიგებლის სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით საბაზო-საშუალო საფეხურზე ჩატარდეს საკონსულტაციო კლასის საათები, რომელთა მიზანია მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

კარიერული განვითარების შესახებ მოსწავლეთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით დაწესებულება ხელს უწყობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელს მოაწიონ შეხვედრები (მათ შორის ონლაინ) და გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისათვის. ამასთან, სკოლა დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ონლაინ ღია კარის დღეების შესახებ. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების ამსახველი მტკიცებულებები სკოლამ ვერ წარმოადგინა, თუმცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმაში ნათქვამია, რომ 2024-2025 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს აღნიშნულ საკითხზე მუშაობას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს კვლევის (შესაძლებელია, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი) ეფექტური ინსტრუმენტები, რომლითაც შესაძლებელი იქნება გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების დადგენა და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმის გადახედვა. მაგალითად, კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარებისა და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯ „აისთან“ გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების, საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მონაწილეობით შეიქმნა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. კოლაგის საჯარო სკოლაში ირიცხება 4 სსსმ მოსწავლე, შესაბამისად, სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრა ისე ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, არის დოკუმენტი, რომელშიც, გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე, მოსწავლეების შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები.

ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ, სადაც განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებასა და აუცილებელ რესურსებს.

სკოლაში არის რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი რესურსებით: თვალსაჩინოებები, თემატური პოსტერები, საკანცელარიო ნივთები, ფერადი პრინტერი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის” 33-ე მუხლის თანახმად, სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს და წერს დასკვნას. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. თითოეული მოსწავლისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული გეგმების შესასრულებლად, კერძოდ, სემესტრის ბოლოს საგნის მასწავლებლები ამზადებენ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ანგარიშს, რომელშიც ჩანს სსსმ მოსწავლეების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. ისგ ჯგუფის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების გადამოწმება, რამდენად მიიღწევა ისგ-ით დასახული მიზნები. პერიოდულად განიხილება სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და მისი დაძლევის გზები. საგნის მასწავლებლები მუდმივად იღებენ გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირსა და რეკომენდაციებს სპეციალური მასწავლებლებისაგან. აღსანიშნავია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ოთხჯერ იმართება ისგ-ის ჯგუფის შეხვედრა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდულიზაციისაგან დაკავშირებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განვითარების მხარდაჭერის მიზნით სამუშაო პროცესში ჩართულია სსსმ მოსწავლეთა მშობლები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლას არა აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგები



შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



დაწყებითი საფეხური

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

